ხაშურის მოამბე

№3(327) 31 იანვარი, ორშაბათი, 2022 წელი

- ვაქცინაცია -

შეხვედრა მოსახლეობასთან

ხაშურის სამუსიკო სკოლის დარბაზში, ვაქცინაციის კამპანიისა და მასთან დაკავშირებული წამახალისებელი პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე თემურ ხუბულური, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი დავით ჩიქოვანი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და როგორც ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, ისე მასთან დაკავშირებულ წამახალისებელ პროგრამებზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა, კოვიდ-პანდემიის პირობებში, ვაქცინაციის მნიშვნელობას, ასევე რეკომენდაციების დაცვას, რაც სოციალურ დისტანცირებას და პირბადის ტარებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების 200-ლარიანი პროგრამა გრძელდება, წახალისების პროგრამით სარგებლობა კი ახლა უკვე 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ. კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზის ჩატარების შემდეგ, 200-ლარიანი ერთჯერადი დანამატი ავტომატურად ჩაერიცხება ვაქცინირებულ პირს.

არქეოლოგიური აღმოჩენა სოფელ ხცისში

2021 წლის გაზაფხულზე, სოფ. ხცისში, მოქალაქე როლანდ ზალკანიანის ახლადშეძენილ საკარმიდამო ნაკვეთში, საკანალიზაციო ჭისთვის ორმოს ამოღების სამუშაოები მიმდინარეობდა. მეზობლები, სამუშაოებში დამხმარე ახალგაზრდები, დაახლოებით 3 მეტრის სიღრმეზე, შემთხვევით, მიცვალებულის ჩონჩხის ნაწილებს გადააწყდნენ. ამბავი მაშინვე აცნობეს ოჯახის უფროსს და სოფლის რწმუნებულს, ბატონ ზურა დაბრუნდაშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ მოიტანა ინფორმაცია ჩემამდე, როგორც ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წარმომადგენლამდე, რადგან ამ დღეს, სრულიად შემთხვევით, ქალთა ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის მიმდინარეობის გამო, მშობლიურ სოფელში ვიმყოფებოდი დასუფთავების აქციაზე, სოფ. ხცისის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში, პროექტის სხვა მონაწილეებთან ერთად (მ. დიდებულიძე, ი. გოგიტაური, მ. ყიფშიძე). ადგილზე მისვლისთანავე გაირკვა, რომ ორმოდან ამოღებულ მიწას ამოჰყვა შავი ფერის კერამიკის პაწაწინა ნატეხებიც. ჩემი თხოვნით, ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, ჩემთან ერთად, გადასინჯეს თხრილიდან ამოღებული მიწის გროვა. გამოჩნდა კერამიკის სხვა ნატეხებიც.

რადგან შემთხვევით ნაპოვნი კერამიკის ნატეხები საკმაოდ საინტერესო იყო, მაშინვე დავუკავშირდი ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველს, ბატონ თამაზ ლაცაბიძეს და ხაშურის არქეოლოგიური კვლევების კურატორს, ბატონ ბიძინა მურვანიძეს. ორივემ გამოხატა დიდი ინტერესი და მთხოვეს, ეგებ, დროებით, სპეციალისტების ადგილზე მისვლამდე, მასალის გადარჩენის მიზნით, შეჩერებულიყო მიწის სამუშაოები, რაზეც ბატონი როლანდი სიამოვნებით დაგვთანხმდა. ის ბედნიერი იყო იმ ფაქტით, რომ მისი ეზოდან შეიძლებოდა სოფლის ისტორიის მნიშვნელოვანი ფურცელი გადაშლილიყო.

ხცისის სამარხის გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა 2021 წლის 7-8 მაისს, ხაშურის არქეოლოგიური კვლევების კურატორის, ბატონ ბიძინა მურვანიძის ხელმძღვანელობით, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა (თამაზ ლაცაბიძე-ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველი, მზია ლობჟანიძე-ფონდების მთავარი მცველი, ჯონდო ქიტიაშვილი-არქეოლოგიური კოლექციის მცველი, დარეჯან ტაბუცაძე-რესტავრატორი), მხატვარ-არქიტექტორ თამარ სახვაძის და სოფლის მოსახლეობის უშუალო ჩართულობით. ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფლის რწმუნებულისა და ადგილობრივ მკვიდრთა დამოკიდებულება ამ მამულიშვილური საქმისადმი, რომლებიც, მკლავებდაკაპიწებულები შრომობდნენ არქეოლოგისა და მუზეუმის თანამშრომლების გვერდით. სოფლის მცხოვრებლები თითქოსდა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შრომაში, გულუხვობასა და მასპინძლობაში. ყველა ბედნიერი იყო ახალი აღმოჩენით, რომელიც მათ თვალწინ მოხდა.

ხცისის სამარხთან გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას, ახალი აღმოჩენები შემდეგი თანმიმდევრობით განხორციელდა:

1. ხელადა თიხის, დაზიანებული, აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ფეხის ტერფთან. რესტავრირებულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რესტავრატორ დარეჯან ტაბუცაძის მიერ, 2021 წლის ზაფხულში. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში;
2. თასი ვერცხლის, დაზიანებული(დამსხვრეულია 13 ნაწილად). აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ. მარცხენა ხელის ფალანგის ძვალი ჭურჭლის ყურში იყო გამოდებული(გაყრილი), როგორც ჩანს, ჭურჭელი მიცვალებულს ხელში ეჭირა. სარესტავრაციო. რესტავრაცია განხორციელდება 2022 წელს, შესაბამისი მიმართულების მაღალკვალიფიციური სპეციალისტის(თ. ფარჯანაძე) მიერ;
3. საყურე, ძვირფასი ლითონის (ოქრო). წრიული ფორმის, ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ყურის არეში; დაუზიანებელი. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძვირფასეულობის ფონდში(გაწმენდილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორ, ბატონ თემურ ფარჯანაძის მიერ);

მონეტა (ვერცხლი), მითრიდატე II - ის(ძვ. წ. 123-88 წწ); წონა - 4,13 გრ; ზომა-22/20 მმ. პართია. აღმოჩნდა მიცვალებულის მარჯვენა ხელის სხივანა ძვალთან. მონეტა იდენტიფიცირებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატ მაია პატარიძესთან. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში;

4. რკინის ნივთის ფრაგმენტი, პატარა, გაურკვეველი დანიშნულების, ძლიერ დაჟანგული. აღმოჩნდა მიცვალებულის ბარძაყის ძვლის წინ, სამარხის ძირის დონეზე;
5. მონეტა(ვერცხლი), ოროდ II - ის(ძვ. წ. 57-38 წწ); წონა - 2,43 გრ; ზომა - 18/20.პართია. აღმოჩნდა მიცვალებულის სახის წინ, ვერცხლის თასთან. მონეტა იდენტიფიცირებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატ მაია პატარიძესთან. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში;
6. საყურე ძვირფასი ლითონის(ოქრო),წრიული ფორმის,ბრტყელი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის აღების შემდეგ, მარცხენა ყურისა და კისტის არეში. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძვირფასეულობის ფონდში(გაწმენდილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორ, ბატონ თემურ ფარჯანაძის მიერ);
7. მონეტა(ვერცხლი), ოროდ II - ის, (ძვ. წ. 57-38 წწ); წონა - 2,92 გრ; ზომა - 20/21 მმ; პართია. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ. მონეტა იდენტიფიცირებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატ

(დასასრული VI გვერდზე)

ხაშურის მუიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიში

(ანგარიში იბეჭდება მცირე შემოკლებით - ე.წ. საგაზეთო ვარიანტის სახით)

შესავალი

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2021 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში შედგენილია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

წლიური ანგარიში მოიცავს და აღწერს, 2021 წლის განმავლობაში, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, ძირითად აუდიტორულ რეკომენდაციებს. რეკომენდაციების შემუშავების კრიტერიუმები გამომდინარეობენ საქართველოს კანონიდან „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მომზადებული მეთოდოლოგიური დოკუმენტებიდან.

№	დაგეგმილი აუდიტი	აუდიტის სახე	სტატუსი	კომენტარი
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები	ფინანსური და შესაბამისობის	დასრულებული	
2	ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება“	ფინანსური და შესაბამისობის	დასრულებული	
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური	ფინანსური და შესაბამისობის	დასრულებული	
4	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური	ფინანსური და შესაბამისობის	დასრულებული	
5	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	შესაბამისობის	დასრულებული	
6	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება	ფინანსური და შესაბამისობის	დასრულებული	

1. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახური, საანგარიშო პერიოდში, საქმიანობის დროს ხელმძღვანელობდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 იანვრის №18 დადგენილებით დამტკიცებული შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის,საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1013 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები“-ს, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის სტანდარტები“-ს, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1016 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი“-ს,საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №644 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო“-ს მოთხოვნებით, ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მომზადებული მეთოდური მითითებებითა და რეკომენდაციებით,შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებით.

საანგარიშო წლის პერიოდში გაწეული საქმიანობის ამოცანას წარმოადგენდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიზნების მიღწევაში ხელშეწყობა შემდეგი საქმიანობების განხორციელებით: მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება; აუდიტის ობიექტების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება; ობიექტების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტის და სისრულის შეფასება; აუდიტის ობიექტების აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება.

2. განხორციელებული ღონისძიებები

2021 წლის გეგმის ფარგლებში განხორციელებულ იქნა:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 3 სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტორული შემოწმება - ფინანსური და/ან შესაბამისობის აუდიტი;

ბ) ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი;

გ) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

საანგარიშო წელს არ განხორციელებულა დაუგეგმავი აუდიტორული შემოწმებები,მაგრამ განხორციელდა ორი ინსპექტირება - მერიის თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული შემოწმება.

2.1 გეგმის შესრულების ანალიზი

დღეის მდგომარეობით, წლიური გეგმით გათვალისწინებული 6 აუდიტორული შემოწმებიდან ყველა დასრულებულია,შემუშავებულია რეკომენდაციები და დასრულებული ანგარიშები, სარეკომენდაციო წერილებთან ერთად, წარდგენილია მერის და აუდიტის ობიექტების ხელმძღვანელებთან.

2.2 სამსახურის მიერ გაწეული სხვა საქმიანობის ანალიზი

გარდა გეგმიური შიდა აუდიტორული შემოწმებებისა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დებულების ცალკეული მუხლების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა სამსახურებრივი შემოწმებები და სხვა სახის საკონსულტაციო საქმიანობები სხვადასხვა საკითხებზე.

2.3 გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და დასკვნები

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებების ფარგლებში, შესწავლილი და შეფასებული იქნა შემდეგი პროცესები:

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დადგინდა - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური, განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ შესრულებულ პროექტში „მდინარე სურამულას კალაპოტის ამოწმენდა-დაღრმავების სამუშაოები“ რაიმე სახის გადაცდომებს (უზუსტობებს), რაც არსებით გავლენას იქონიებდა პროექტის შესრულების მიმდინარეობაზე, ადგილი არ ჰქონია, ყველა დოკუმენტი შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ნორმების და სახელშეკრულებო ნორმების შესაბამისად.

შიდა აუდიტის სამსახურმა შეისწავლა და გაანალიზა წარმოდგენილი დოკუმენტები, რის საფუძველზეც დაადგინა - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის,ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ შესრულებულ პროექტში - „სოფელ ჩორჩანამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები“ - რაიმე სახის გადაცდომებს (უზუსტობებს),რაც არსებით გავლენას იქონიებდა პროექტის შესრულების მიმდინარეობაზე, ადგილი არ ჰქონია, ყველა დოკუმენტი შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ნორმების და სახელშეკრულებო ნორმების შესაბამისად. ფინანსური ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის ფარგლებში, დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო სრულყოფილად,თითოეული ცვლილება ასახული და დასაბუთებულია არსებულ დოკუმენტებში.

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება“

1) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის პროცესები

- 2020 წელს ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, საანგარიშო წელს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, კონკრეტულად კოვიდ 19-თან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში ვერ მოხერხდა ინვენტარიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე,არსებობს რისკი,რომ ა(ა)იპ „კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანებაში“ შეუმჩნეველი დარჩეს არსებული ქონების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევები. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია 2021 წლის ბოლომდე ჩატარდეს აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

2) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში კადრების გადამზადების პროცესები

- შრომის კოდექსის შესაბამისად, დამსაქმებელს ევალება პერიოდულად გადაამზადოს პერსონალი, აქედან გამომდინარე რეკომენდებულია ა(ა)იპ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს შესაბამის სამსახურებთან მოთხოვნის გაგზავნა პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით, შესაძლებლობის ფარგლებში.

(გაგრძელება III გვერდზე)

ხაშურის მუიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიში

3) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში ჩატარებული ღონისძიებების ეფექტიანობის და პროდუქტიულობის დადგენის პროცესები

- საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით, ღონისძიებების ეფექტიანობის და პროდუქტიულობის დადგენა ხდება, შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვით:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდების რაოდენობა;
- შემოქმედი ბავშვების ორგანიზებული პროექტების რაოდენობა;
- კმაყოფილი მოსახლეობა.

აუდიტის მხრიდან შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ირკვევა, რომ არ არის მოსახლეობის კმაყოფილების ინდიკატორების ანალიზი განხორციელებული და ორგანიზაცია ეყრდნობა, გაყიდული ბილეთების რაოდენობას და სოციალური ქსელის პირად გვერდზე აქტივობას,რაც არ ქმნის სრულ სურათს მოსახლეობის კმაყოფილებაზე. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს მოსახლეობის კმაყოფილების ინდიკატორის შეფასება და ანალიზი მოსახლეობასთან უშუალო გამოკითხვის საშუალებით ან სოციალურ ქსელში ხმის მიცემის საფუძველზე, რათა დავრწმუნდეთ, რომ თითოეული ღონისძიების მიზანი არის შესრულებული და პროგრამების მიზნები შედეგიანია. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, ორგანიზაცია შეძლებს, განსაზღვროს ძირითადი მიმართულებების ჩამონათვალის ეფექტიანობა,მსგავსი გამოკითხვის მეთოდი უმჯობესია განხორციელდეს წლის ბოლოს.

4) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში შიდა კონტროლის პროცესები

- ორგანიზაციაში არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული, ცალკეული აქტივობების და კულტურული ღონისძიებების კონტროლის ღონისძიებები, აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ აქვს სრული რწმუნება თუ რამდენად ეფექტიანად და პროდუქტიულად სრულდება თითოეული მათგანი, ასევე აუდიტორებისთვისაც ბუნდოვანია განაწილებული პასუხისმგებლობები პერსონალს შორის. შიდა კონტროლის დანერგვის და გაძლიერების მიზნით,ორგანიზაციის მიერ შედგენილ წლიურ სამუშაო გეგმას რეკომენდებულია დაერთოს განყოფილებების მიხედვით შედგენილი წლიური სამუშაო გეგმები, შემსრულებელი თანამშრომლების გვარების და შესასრულებელი სამუშაოების პერიოდულობის (თარიღების) მითითებით. საქმიანობის გეგმა ორგანიზაციას და მის დანაყოფებს იმგვარად უნდა ჰქონდეს გაწერილი, რომ შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელების მიერ თანამშრომლებს შორის განაწილებული დავალებების, მათი შესრულების და გეგმასთან შესაბამისობის კონტროლი, არა მხოლოდ წლის მანძილზე, არამედ ყოველთვიურ რეჟიმში.

5) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში გამარტივებული შესყიდვების პროცესები

- კულტურის ცენტრების გაერთიანებაში გამარტივებული შესყიდვების დროს განხორციელებული ბაზრის კვლევა საჭიროებს გაუმჯობესებას - (მუნიციპალიტეტის გარეთ), რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება დახარჯული თანხების ეფექტიანობის შეფასება.

რეკომენდებულია ორგანიზაციის მხრიდან გაფართოვდეს ბაზრის კვლევის არეალი, შესყიდვებში გამოყენებულ იქნეს ონლაინ მაღაზიებიც,რაც გააუმჯობესებს ბაზრის შესწავლას და ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების უფრო პროდუქტიულად და ეკონომიურად მიღწევას.

6) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში სამუშაო დისციპლინის დაცვის პროცესები

- კულტურის ცენტრების გაერთიანებაში დასაქმებული პერსონალის სამსახურში არ გამოცხადებას, დაგვიანებას, სამუშაო საათების გაცდენას აკონტროლებს დირექტორი, რის შედეგადაც აუდიტის მხრიდან ვერ გაკონტროლდა დასაქმებული პერსონალის სამსახურში არ გამოცხადების ფაქტები. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ორგანიზაციაში შემოღებულ იქნას თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების ფაქტების აღრიცხვის ჟურნალი.

7) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების მოწესრიგების პროცესები

- შრომის კოდექსის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული რანგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა. აუდიტისთვის გადმოცემულ დოკუმენტში ზოგ შემთხვევაში არ იყო სრული თანამდებობის დასახელება აღწერილი მაგალითად: ხშირად იყო გამოყენებული ტერმინი „სპეციალისტი“, მაგრამ არ იყო კონკრეტული თანამდებობის აღწერილობა. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია კულტურის ცენტრების გაერთიანებამ შეადგინოს კონკრეტული თანამდებობების ჩამონათვალი, რათა მომდევნო აუდიტის დროს გასაგები იყოს აუდიტორებისთვის თითოეული თანამდებობრივი პოზიციის საჭიროების მართლზომიერება.

8) კულტურის ცენტრების გაერთიანებაში ბიუჯეტის ფორმირების პროცესები

- ორგანიზაციას რამდენჯერმე მოუწია 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა „კოვიდ 19“-თან დაკავშირებით რეგულაციების დაცვის მიზნით,რამაც თავის მხრივ აქტივობებისა და ღონისძიებების განხორციელებას შეუქმნა რისკი. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ბიუჯეტის ხარჯთა ნუსხის (გეგმების) შედგენას, რათა ზუსტად განისაზღვროს პროგრამებში ფინანსების ხარჯვის ოდენობა. ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვის ხშირი ცვლილება ცალკეული მუხლების მიხედვით ან არასწორად შედგენილი ბიუჯეტი, გამოიწვევს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების და არსებული ამოცანების არასრულყოფილად შესრულებას.

აუდიტის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების, დოკუმენტაციის ანალიზის, აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და შიდა კონტროლის სისტემაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება გამოითქვას ობიექტური მოსაზრება, რომ კონტროლის ღონისძიებებში იდენტიფიცირებულია მცირედი ხარვეზები, მიუხედავად ამისა, კონტროლი შეფასებულია როგორც ადეკვატური.

მერიის ზედამხედველობის სამსახური

1) ზედამხედველობის სამსახურში კადრების დატრენინგების პროცესები

- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ კადრების დატრენინგება ხორციელდება იშვიათად. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მოხდეს პერსონალის გადამზადება,სერტიფიკაციის,კვალიფიკაციის ამაღლების მიღების მიზნით,რათა არ ჩამორჩეს სამსახური სამომავლო სიახლეებს, როგორც კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე აიმაღლოს ცოდნა მუშაობის თანამედროვე სტანდარტებზე.

2) ინფორმაციის დოკუმენტირებისა და შენახვის პროცესები

- 2020 წლის ანგარიშში წარმოდგენილია ისეთი ფაქტები, რომელზეც ზედამხედველობის სამსახურს არ მოეპოვება შესაბამისი დოკუმენტაცია, აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სრული ინფორმაცია 2020 წელს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ანგარიშის შედგენას და მასში წარმოდგენილ საქმისწარმოების ფაქტებს, რათა სამსახურისთვის უფრო გამარტივდეს საანგარიშო პერიოდში შესრულებული საქმიანობის შეფასების სისტემა და ასევე შემდგომში აუდიტის ჯგუფის წევრებისთვისაც გამარტივდეს საქმიანობის შეფასება წლიური ანგარიშის მიხედვით.

3) მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების დროს ფაქტების აღწერის დოკუმენტირების პროცესები

- სამსახურში შემოსულ განცხადებებზე, ადგილზე შემოწმების დროს არ ივსება შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც, თავის მხრივ, აჩენს იმის რისკს, რომ ზედამხედველობის მხრიდან ვერ შესრულდეს დაკისრებული მოვალეობა სრულყოფილად და ასევე სამსახური დადგეს რისკის წინაშე, რომ მისი საქმიანობა ვერ განხ,ორციელდეს პროდუქტიულად და მისი მოთხოვნები სამართალდამრღვევის მიერ არ იყოს გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია თუ ადგილზე დათვალიერების პროცესში შედგება შესაბამისი შემოწმების აქტი,სადაც მითითებული იქნება, დათვალიერების თარიღი, აღწერილი იქნება სამართალდარღვევის ფაქტი, სამსახურის სპეციალისტი გამოყოფს გონივრულ ვადას სამართალდარღვევის ფაქტის აღმოსაფხვრელად და დამოწმებული იქნება სამართალდამრღვევის ხელმოწერით, რათა სამსახურმა თავიდან აირიდოს დაუმორჩილებლობის შემთხვევები და ასევე საქმისწარმოება განხორციელდეს სრულყოფილად.

აუდიტის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების, დოკუმენტაციის ანალიზის, აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და შიდა კონტროლის სისტემაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება გამოითქვას ობიექტური მოსაზრება, რომ კონტროლის ღონისძიებებში იდენტიფიცირებულია მცირედი ხარვეზები, მიუხედავად ამისა, კონტროლი შეფასებულია როგორც ადეკვატური.

მთლიანობაში ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები მუშაობენ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და სამსახურის მუშაობა შეიძლება შეფასდეს დადებითად.

მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური

1) მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების კონტროლის პროცესები

- სამსახურის მხრიდან არ ფორმდება ზოგიერთ ღონისძიებაზე დასწრების დამადასტურებელი დოკუმენტი. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია სამსახურმა წლის ბოლოს შეადგინოს დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება თითოეულ კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებაზე სამსახურის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ კონტროლისა და მართვის დამადასტურებელი ინფორმაცია.

2) მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესები

- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებული შიდა კონტროლის მექანიზმების მიხედვით კადრების ტრენინგებში მონაწილეობა უმჯობესია გააქტიურდეს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია მოხდეს პერსონალის გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რათა სამსახური არ ჩამორჩეს სიახლეებს და შეძლოს შიდა კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების პროცესების წარმართვა.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების,კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ რაიმე სახის გადაცდომებს (უზუსტობებს), რაც არსებით გავლენას იქონიებდა სამსახურეობრივი პროცესების მიმდინარეობაზე, ადგილი არ ჰქონია. საქმიანობა განხორციელებულია კანონმდებლობის

(დასასრული IV გვერდზე)

ხაშურის მუიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის ანგარიში

(დასასრული)

შესაბამისად.

<u>მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური</u>

აუდიტის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების, დოკუმენტაციის ანალიზის, აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და შიდა კონტროლის სისტემაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება გამოითქვას ობიექტური მოსაზრება, რომ კონტროლის ღონისძიებები შეფასებულია როგორც ადეკვატური.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ რაიმე სახის გადაცდომებს (უზუსტობებს), რაც არსებით გავლენას იქონიებდა სამსახურეობრივი პროცესების მიმდინარეობაზე ადგილი არ ჰქონია. საქმიანობა განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

<u>ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება</u>

<u>1) სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში პერსონალის გადამზადების პროცესები</u>

- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებული შიდა კონტროლის მექანიზმების მიხედვით კადრების ტრენინგებში მონაწილეობა უმჯობესია გააქტიურდეს. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია მოხდეს პერსონალის გადამზადება, რათა სამსახური არ ჩამორჩეს სიახლეებს და შესაძლო გახდეს ამ სიახლეების გამოყენება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

<u>2) სამუსიკო სკოლების გაერთიანებაში პერსონალის წახალისების სხვადასხვა ფორმების გამოყენების პროცესები</u>

- ორგანიზაციაში გამოვლინდა კადრებისთვის წამახალისებელი ღონისძიებების გამოყენების ნაკლებობა, რაც აჩენს რისკს, რომ დასაქმებულმა პერსონალმა გამოავლინოს ნაკლები პროდუქტიულობა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს.

ორგანიზაციამ, პერსონალის წახალისების მიზნით, შესაძლოა გამოიყენოს, როგორც ფინანსური ისე, არაფინანსური ფორმა, რომელსაც თანამშრომელი იღებს სანიმუშოდ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ. წახალისების ფორმები შესაძლოა იყოს: მადლობის გამოცხადება, მატერიალური ჯილდო,პრემია,პრიზი,რათა დასაქმებულმა პერსონალმა არ დაკარგოს მოტივაცია და სამომავლოდ სხვა დასაქმებულ პერსონალსაც გაუჩინოს,იმის სურვილი,რომ მუშაობის პროცესი გახდეს კიდევ უფრო პროდუქტიული.

აუდიტის ობიექტების შემოწმების დროს გამოვლენილ იქნა შემდეგი კატეგორიის ძირითადი რისკები (ორგანიზაციის მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებაზე უარყოფითი გავლენის მქონე მოვლენის ალბათობა):

ოპერაციული რისკები - ყოველდღიური რისკები,რასაც ორგანიზაციები აწყდება

თავისი ამოცანების და ფუნქციების განხორციელებისას;

შესაბამისობის რისკები - საქმიანობის მარეგულირებელი საკითხების მოუწესრიგებლობის რისკები.

<u>3.5 გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები</u>

თითოეული აუდიტორული შემოწმების დროს გამოვლენილი აუდიტორული მიგნებების შესაბამისად, შიდა აუდიტის ობიექტებს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები ეფუძნებოდა, როგორც ცალკეულ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და რეგულაციებს, ისე შიდა კონტროლის ძირითადი მექანიზმებიდან გამომდინარე, ეკონომიურობის, ეფექტიანობის და პროდუქტიულობის პრინციპებზე დაყრდნობით მსჯელობებსა და მოსაზრებებს და არსებულ საუკეთესო პრაქტიკას.

ყველა გაცემული რეკომენდაცია გამიზნული იყო აუდიტის ობიექტის მუშაობის გაუმჯობესებაზე. ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს. რეკომენდაციების გაცემის მიზანს წარმოადგენს ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება,დაწესებულების მიზნების მიღწევა და ამოცანების შესრულება.

წლიური გეგმის მიხედვით განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაიცა 15 რეკომენდაცია, მათ შორის:

მაღალი მნიშვნელობის - 3;

საშუალო მნიშვნელობის - 7;

დაბალი მნიშვნელობის - 5.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციების გარდა, აუდიტის ობიექტების მენეჯმენტის მიმართ მუდმივად ხორციელდებოდა კონსულტაციები ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტების დამკვიდრებაში.

კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კონტროლის გარემოს დამკვიდრება,რომელიც გულისხმობს მენეჯმენტის მხრიდან საქმიანობის კონტროლისა და რისკების მართვის აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციების საბოლოო სახით ჩამოყალიბება ხორციელდებოდა შიდა აუდიტის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით,როგორიცაა ანგარიშის პროექტის შემუშავება და აუდიტის ობიექტისთვის წარდგენა,წერილობითი მოსაზრებების მიღება და ერთობლივი განხილვა-შეთანხმება და საბოლოოდ დამტკიცებული ანგარიშის წარდგენა სარეკომენდაციო წერილთან ერთად. გაცემული რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ისაზღვრებოდა მათი შესრულების ვადები.

უფრო დეტალური ინფორმაცია თითოეულ აუდიტის ობიექტზე და გამოვლენილ აუდიტორულ მიგნებებზე,აგრეთვე კონკრეტულ გაცემულ რეკომენდაციებზე მოცემულია შესაბამის ანგარიშებში.

<u>2.4 გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი</u>

საანგარიშო წელს დაგეგმილი შიდა აუდიტორული შემოწმებების პარალელურად, დაგეგმილი იყო თითოეულ ობიექტზე მიცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ღონისძიებებიც.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგნაირად:

ა) უშუალოდ აუდიტორული შემოწმების დროს, წინა შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის გაკონტროლება;

ბ) გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმება უშუალოდ აუდიტის ობიექტებზე შემოწმების გზით.

მონიტორინგის დროს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში რეკომენდაციები გათვალისწინებულია, ზოგიერთ შემთხვევებში დაწყებულია მუშაობა რეკომენდაციების გადასაწყვეტად, ძირითად შემთხვევებში ისეთი რეკომენდაციების შესასრულებლად, რომლებიც გარკვეული ხარჯების გაღებასთან არის დაკავშირებული, ნაწილი რეკომენდაციებისა შესრულებული იქნება წლის განმავლობაში, საჭიროების დადგომის შემთხვევაში.

<u>3. წინადადებები შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარების შესახებ</u>

შიდა აუდიტის სამსახურის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „შიდა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

ზემოთმოყვანილი კანონის 32-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, „სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და აღმოჩენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმების ღონისძიებებს ახორციელებს დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი/ერთეული. მისი უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების დებულებით და გამიჯნულია შიდა აუდიტის ფუნქციისაგან“. აღნიშნული დებულების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შიდა აუდიტორი არ უნდა ახორციელებდეს სამსახურებრივ შემოწმებას/ინსპექტირებას.

ხსენებული მოთხოვნის შესრულების ამ ეტაპზე, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებში შესულია ცვლილებები და სამსახურის ერთ სპეციალისტს განსაზღვრული აქვს ინსპექტორის ფუნქცია-მოვალეობები, ნაცვლად შიდა აუდიტორის ფუნქციებისა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ღონისძიება ნაწილობრივი გამიჯვნის ხასიათს ატარებს,რადგანაც ინსპექტირებით დაკავებული სპეციალისტი მუშაობს შიდა აუდიტის სამსახურის დაქვემდებარებაში და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შიდა აუდიტის სამსახურს დაემატა ერთი საშტატო ერთეული,რაც დადებითად იმოქმედებს სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

თამაზი ლომიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი

<u>- ვაქცინაცია -</u>

შეხვედრა ალისა და ქვიშხეთის მოსახლეობასთან

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, მოადგილეებთან ერთად, ვაქცინაციის კამპანიისა და მასთან დაკავშირებული წამახალისებელი პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით,ალისა და ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას შეხვდა და საინფორმაციო ბუკლეტები დაარიგა.

საკრებულოს თავმჯდომარე მოსახლეობას ესაუბრა ვაქცინაციის მნიშვნელობაზე და კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების 200-ლარიანი პროგრამაზე, რომელიც 2022 წლის იანვარშიც მიმდინარეობს. წახალისების პროგრამით სარგებლობა 50 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.

ვაქცინაციის კამპანიასა და საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებაში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს მაჟორიტარმა წევრებმა ზაზა სხილაძემ,ტუხრან ჩადუნელმა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა.

მოსახლეობა ინტერესით შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ვაქცინაციისათვის მზაობა გამოთქვა.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.)

მეორე დღეს კი ქართველ გვარდიელებს ხელმეორედ მოუხდათ მისი აღება... დაღამებისას კი იგი ისევ იქნა დატოვებული?! გვარდიელთა მიერ სტრატეგიული მაღლობების დატოვების მიზეზები კი მართლაც გამაოგნებლად პროზაულია – ღამის სიცივისგან თავის არიდება და რაზმის დისლოკაციის ადგილზე, სოფელ სარაჩლოში ჩამოსვლა ჩაის დასალევად?! „გვარდიელებს ომისათვის თავისი საკუთარი წესები ჰქოდათ შემუშავებული“ - აღნიშნავდა გენერალი მაზნიაშვილი“.

გაზეთმა „სახალხო საქმემ“ ამ ფაქტთან დაკავშირებით შემდგეი ინფორმაცია გამოაქვეყნა: „დეკემბრის 26 ჩვენებს საგრძნობი მარცხი მოუვიდათ. გათენებისას ბურუსიან ამინდში სურამის და სამტრედიის რაიონის სახალხო გვარდიამ პირდაპირი შეტევით გასწია გორის გამოსწვრივ მაღლობისაკენ და განიზრახა ამ მიდამოების გაწმენდა. სომხები თავისებური ხერხით დახვდნენ. ქართულად გადმოსძახეს: კაცო, თქვენები ვართ. არ გვესროლოთო და თანაც საფარში გამაგრებულები ახლოს უშვებდნენ გვარდიას. ეს შეცდომა ამ დილას თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, რამდენიმე მოგვიკლეს და 55 კაცამდე დაგვიჭირეს“.

იოსებ იმედაშვილი წერდა: „ამ დღეს (26 დეკემბერს) შულავერის მიდამოებში მსხვერპლად შეიწირა ხაშურის მუშათა რევოლუციის ერთგული დარაჯნი: ლ. მეტრეველი, ალ. სირაძე, ს----იძე, ვ. ჩაფიძე, ი. მშვიდობაძე, აბაიაძე, ჯანტლაშვილი და სხვა... აქ, შულავერში თავიანთი საკუთარი სისხლით და ძალებით დაიცავს ჩვენი ქვეყანა ხაშურის გმირებმა წარსულ 26 დეკემბერს, მუხანათ მტრის შემოსევისგან“.

გვარდიელთა ამ საქციელმა არა მარტო დიდი მსხვერპლი და ძვირფასი დროის დაკარგვა, არამედ სხვა ქართული საჯარისო ნაწილების შეტევითი მოქმედებების შეფერხებაც გამოიწვია. გენერალი გ.კვინიტაძე წერს:–„გენერალმა ჩხეტიანმა მოგვახსენა, სამტრედიელებმა ისევ მიატოვეს პოზიციები და უკან ჩამობრუნდნენ, მე კი გთხოვთ, გამიწვიოთ, რადგან არ მსურს ასეთი უდისციპლინო ნაწილის მეთაურობაო კვლავ მარცხი“.

27 დეკემბერს, გენერალმა გ. მაზიაშვილმა გადაწყვიტა პირადად გაძღოლოდა მე-5 პოლკის ქვედანაყოფებს და გაერღვია სომხური პოზიციების ფლანგი, მაგრამ „საუბედუროდ წარუმატებლად. მე-5 პოლკის სრულიად შიშველ ადგილზე მოუწია შეტაკებამ, არტილერიის მიზანში სროლას კი ნისლი უშლიდა ხელს“.

ამიტომ ამ შეტევას რაიმე არსებითი შედეგი არ მოუტანია. თუმცა, 25-27 დეკემბრის ბრძოლებმა ქართულ მხარეს საშუალება მისცა აღეკვეთათ სომხური საჯარისო ნაწილების წინსვლა და თვითონ გადასულიყვნენ შეტევით მოქმედებებზე.

სომხეთ-საქართველოს ომის დროს ხაშურში და სურამში შეიქმნა ფრონტის დამხმარე კომიტეტები, ხაშურის კომიტეტმა ელსაბედ ჯოჯიშვილს, ანა კუხალაშვილს, ოლღა ჭიპაშვილს და ეფემია მურავსკის დაავალა შეეგროვებინა ხაშურის რაიონში შემოწირულობანი ფრონტის საჭიროებისათვის. მათ ცხრამუხაში და ზემო ჭალაში შეაგროვეს სურსათი და 100 მანეთი ფულად. ამ ფულით შეიძინეს „პაპიროსები, წუმწუმა“ და ყველა ეს შეგროვილი თითონვე აიტანეს სურამის საავადმყოფოში და დაურიგეს დაჭრილ და დაავადებულ გვარდიელებს და ჯარისკაცებს“.

ამავე ქალებს ხაშურელ მანდილოსნებში შეუგროვებიათ 322 მანეთი, რომელიც 6 თებერვალს გადასცეს ომის დამხმარე კომიტეტის ხაზინადარს მღვდელ პეტრე კაპანაძეს.

ხაშურის ქალაქის თვითმმართველობასთან არსებულმა „ფრონტის დამხმარე კომიტეტმა“ საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში შეიტანა 6000 მანეთი. იტრიის საზოგადოებისგან დამხმარე კომიტეტმა მიიღო 422 მანეთი და 50 კაპიკი.

მეომართა დამხმარე კომიტეტს ხაშურის კომიტეტმა გადასცა სურსათი, ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის განკუთვნილი ნივთები და სხვა. კერძოდ 26 გირვანქა ყველი, 10 გირვანქა საპონი. 9,75 გირვანქამდე ჩაი, 2 ფუთი და 5 გირვანქა პური, 25,5 გირვანქა ძეხვი, 5 ცალი კონსერვი, 1,5 გირვანქა ყავა, 1 გირვანქა ქონი, თეთრეულის 2 ცალი ნაკრები, 6 გირვანქა ბრინჯი, 34 გირვანქა მჭადის ფქვილი, 3 ცალი ხელის საპონი. ტილოს 2 ტომარა.

ხაშურის რკინიგზის მილიციისგან დამხმარე კომიტეტმა მიიღო 4 გირვანქა ჩაი. 44 ცალი სანთელი, 3 გირვანქა დაჭრილი თამბაქო. 0,5 ფუთი დაუჭრელი თამბაქო, 2 წყვილი თბილი ფეხსაცმელი, 150 ცალი კონვერტი და ქაღალდი, 7 ცალი ჩაბალახი. 2 ცალი წყლის ჭურჭელი. 50 არშინი ბინტი, 4 ცალი „ფუფეიკა“, 8 ცალი საცვალი, 310 ცალი წუმწუმა, I ხარისხის 33 შეკვრა თამბაქო, II ხარისხის 376 შეკვრა თამბაქო, 83 შეკვრა პაპიროსი, 15 შეკვრა „მახორკა“ 3 ცალი ხელის საპონი, 8 შეკვრა ჩაი.

1919 წლის 2 თებერვალს, ხაშურში, გამართა საქალაქო არჩევნები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით არჩევნებში წარდგენილი იყვნენ: ნიკიფორე იმნაიშვილი, ნიკოლოზ სიხარულიძე, ნიკოლოზ პატარიძე, ანტონ ბიბილური, ამბროსი სვანიძე, ვასილ ზაქარეიშვილი, ივანე ბასილაშვილი, მოსე ჭყონია, ისიდორე თელია, იაკობ გვარამაძე, ესტატე გაგუა, დიმიტრი მორჩილაძე, ესტატე რატია, თადეოზ სხალაძე, ილია კუჭაიძე, ვასილ ხვედელიძე, დავით ლეჯავა, ალექსანდრე მაჭარაშვილი, ვიქტორ მეტრეველი, ივანე გიორგაძე, ხოლო კანდიდატებად მიხეილ უვაროვი, ნიკო მიქაძე, ნესტორ ნიჟარაძე, ტრიფონ ცაგურია, დავით მელიქაძე, გიგუცა ჯაფარაშვილი, ღონღაძე, არონ იმნაიშვილი, ვასილ პაპავა და გაბო ფატაძე.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან საქალაქო არჩევნებში წარდგენილი იყვნენ კონსტანტინე ძნელაძე, სიმონ ჯაფარიძე, მიხეილ ხმალაძე, მარიამ იოსელიანი, ბაგრატ ჟუჟუნაძე, ელიზბარ კარბელაშვილი და ლევან ჩიკვაიძე.

არჩევნებში გამარჯვება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოიპოვა მათ ქალაქის საბჭოში 19 ხმოსანი, ხოლო სოციალ-ფედერალისტებმა ერთი ხმოსანი გაიყვანეს.

პარალელურად მიმდინარეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების კამპანია. არჩევნები გაიმართა 15 თებერვალს. მასში გამარჯვება ისევ სოციალ-დემოკრატებმა მოიპოვეს. ხაშურში მათ ამომრჩეველთა 2373 ხმა მიიღეს, სოციალ-ფედერალისტებმა კი 88;

საზოგადოების განწყობა სოციალ-დემოკრატების მიმართ მაღალი იყო. 2 მარტს გაზეთი “ერთობა” ხაშურისა და ზემო გომის რაიონებში შექმნილ ვითარებაზე წერდა: “თუ რა მდგომარეობაა დღეს ქართლში, ამას მოკლედ დავინახავთ შემდეგიდან. არჩევნები სასურველად დამთავრდა. არჩევნების წინა დღეებში თითქმის ყველა საზოგადოებაში რეზოლუციები გამოიტანეს გლეხებმა, რომ ისინი ნდობას უცხადებდნენ დღევანდელ მთავრობას და არჩევნებშიც ხმას მივცემთ მუშათა პარტიას, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იბრძვის მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. მრავალი მსხვერპლი შესწირა თავისუფლებას და დღეის შემდეგაც იმედი გვაქვს, რომ ამ პარტიის დახმარებით აღსრულდება ყოველივე ჩვენი სურვილები...“

ქალაქის ახლადარჩეული საბჭოს პირველი სხდომა შედგა 9 მარტს. სხდომა გახსნა და საბჭოს გასული წლის მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ნიკო პატარიძემ. შემდეგ აირჩიეს საბჭოს პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნიკიფორე იმნაიშვილი. მის მოადგილედ ნიკო პატარიძე, მდივნად ალექსანდრე მაჭარაშვილი.

ხმოსანმა მოსე ჭყონიამ საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ნიკიფორე იმნაიშვილისა და ნიკო პატარიძის განცხადებები, რომლებიც აღუთქვამდნენ საბჭოს სრულიად უსასყიდლოთ სამსახურს“. ამ განცხადებას ყველა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით, საბჭოს მიესალმა ვ. მიქაძე, სოციალ-ფედერალისტთა სახელით კ. ძნელაძე, სახალხო გვარდიის სახელით ნ. სიხარულიძე, ხოლო ადგილობრივი ვაჭრების სახელით ა. ომიაძე.

საბჭომ ქალაქის თავად ერთხმად აირჩია მასწავლებელი დავით მელიქაძე გამგეობის წევრად ნიკო შალამბერიძე

ხმოსანმა მ. ჭყონიამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის სახელით წაიკითხა დეკლარაცია.

საბჭოს სხდომაზე “შემოტანილ იქნა წინადადება, კავკასიის დემოკრატიის ბელადი და ქართველი ერის სიამაყე ნოე ჟორდანია არჩეულ იქნას ქალაქ ხაშურის საპატიო მოქალაქედ. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მქუხარე ტაშით ხვდება ამ წინადადებას“.

საბჭომ დაადგინა ნოე ჟორდანიას ამის თაობაზე გაგზავნოდა შესაფერი დეპეშა.

12 მარტს, სდმპ ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტის ხელმძღვანელობით ხაშურში გაიმართა დიდი მიტინგი და დემონსტრაცია, რომელშიც მოსახლეობის ფართო მასები მონაწილეობდნენ. აქვე იყვნენ ხაშურში მოქმედი პოლიტიკური და დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც “თავთავიანთი დროშებით გამოვიდნენ”

ხალხი ჯერ სდმპ ბიუროს წინ შეიკრიბა, ხოლო შემდეგ გაემართა გვარდიელთა მოედნისაკენ, სადაც მიტიგი იყო დანიშნული. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო რომ ხაშურის მოსახლეობა „აღტაცებით ესალმება საქართველოს დამფუძნებელ კრებას და ის, როგორც ყოველთვის, მუდამ გვერდში იქნება მთავრობასთან და მტკიცედ დაიცავს რევოლუციის მონაპოვართ და საქართველოს დამოუკიდებლობას“

მიტინგის მონაწილეები შემდეგ გაემართნენ ძმათა სასაფლაოსკენ (გორათზე) სადაც “მხურვალე და მგრძნობიარე” სიტყვები წარმოთქვეს ს. ბაბლიძემ და ან. ბიბილურმა.

28 მარტს გაიმართა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. პატარიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ქალაქის თავი ნ. ციციშვილი (დ. მელიქაძის ქალაქის თავად მუშაობა არ მოხერხდა, რადგან იგი გორის სამაზრო ერობის გამგეობის წევრად მუშაობდა).

ნ. პატარიძემ კრებაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა 1918 წელს საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. მან „აღნიშნა რა ის მძიმე პირობები: უფულობა, გამოუცდელობა, შინ და გარეთ არეულობები და სხვა მრავალი, რომელიც წინ ეღობებოდა საბჭოს წესიერ მუშაობის მიმდინარეობას, მან დასძინა, რომ თუმცა მის მუშაობაში ნაკლულოვანებიც ერია და არ იყო იგი სრული, მაგრამ საბჭომ ბევრი რამ საყურადღებო შეჰქმნა, როგორც მაგალითად სასაკლაოს შენობის აგება, რომელიც ქალაქს 20.000 მანეთზე მეტი დაუჯდა. სასწორის საქმის მოწესრიგება, ბარაკის დაარსება, დახმარება, ამბულატორიის მოწყობა, საექიმო პერსონალის მოწვევა-შენახვა, ქალაქის მილიციის შტატის შემოღება და მათი შენახვა, მოქალაქეებზე სხვადასხვა სურსათის მოწოდება და სხვა. და ყველა ეს მაშინ, როდესაც მთავრობის მხრივ სესხის სახით არა ჰქონია არავითარი დახმარება. იგი შეძლებას მისცემდა მას მოაწესრიგოს შემდეგი დღიურ საკითხში მდგარი საქმენი: გამგეობის საქმიანობის უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, ქუჩების და ხიდების მოკირწყვლა, გაყვანა და შეკეთება, შემოსავლის და კვალობაზე გადასახადის შემოღება, ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწების მუნიციპალიზაცია, ვაჭრობის მოწყობა, ზემო ჭალის სასწავლებლის მზრუნველობა, ბაღის მოწყობა, თეატრის შენობის აგება, ელექტრონის სადგურის შესყიდვა, ქალაქის აფთიაქის გახსნა და სხვა.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილებები: მილიციის ჯამაგირის გადიდების, კომისიების შექმნის, ელელქტრონის სადგურის შესყიდვის, სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ. ს. ბაბლიძის წინადადებით საბჭომ შეაჩერა ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწების ყიდვა-გაყიდვა.

1919 წლის 15-18 მარტს მიმდინარეობდა გორის სამაზრო ერობის ყრილობა, რომელმაც მთელი მაზრა დაჰყო ოც წვრილ ერობად. ხაშურის რეგიონის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა გომის ერობა (მოხისის და ალის საზოგადოებები) ცენტრით გომი (30 ხმოსანი ორგანიზატორი ა. ბაბილოვი); სურამის ერობა (ქვიშხეთისა და იტრიის საზოგადოებები) ცენტრით სურამი, ორგანიზატორები ს. მამალაძე და ან. შუბლაძე, ხაშურის ერობა (ხცისისა და ოსიაურის საზოგადოებები) ცენტრით ხაშური, 35 ხმოსანი, ორგანიზატორები ს. ბაბლიძე და ვ. ზაქარეიშვილი.

1919 წელი ბოლშევიკების გავლენის ზრდითაც გამოირჩევა. ამის მანიშნებელია მაისის თვეში ხაშურში ბოლშევიკურად მოაზროვნე ახალგაზრდობის მიერ „სპარტაკის“ ორგანიზაციის შექმნა. პარტიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ორგანიზაცია ახალგაზრდა მარქსისტთა ხაშურის ორგანიზაციის წიაღში იშვა. საქართველოში კომკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბორის ძნელაძე აღნიშნავდა, რომ: „...თებერვლის რევოლუციამდე საქართველოში არსებობდა ახალგაზრდათა მარქსისტული წრეები. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ისინი გადაიქცნენ ჩვენთვის ცნობილ „მარქსისტთა“ ორგანიზაციად. ეს ორგანიზაცია აღმოცენდა 1915 წლის ბოლოს და 1916 წლის დასაწყისში. დამახასიათებელია, რომ ამ ორგანიზაციას არაფერი საერთო არ ჰქონდა მშრომელ ახალგაზრდობასთან. იგი წარმოადგენდა პატარა წრეს, რომელიც შესდგებოდა ინტელიგენტურ ახალგაზრდობისაგან და, რომელიც ყოველივეს ემსახურებოდა მხოლოდ წმინდა საგანმანათლებლო მუშაობას, მარქსიზმის ფილოსოფიის შესწავლას თებრვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში ამ ორგანიზაციას დაეტყო გათიშვა, უთანხმოება მის ხელმძღვანელთა შორის მემარცხენე ჯგუფები, კომუნისტურად მოაზროვნე ახალგაზრდობა მოითხოვდა კოალიციური მთავრობის ჩამოგდებას და ხელისუფლების საბჭოებისადმი გადაცემას. პირველი ჯგუფი, მენშევიკური ახალგაზრდობა მოითხოვდა ყოველმხრივ დახმარებას დემოკრატიული მთავრობისადმი. 1917 წლის აგვისტოს დასაწყისსი მოხდა ოფიციალური გათიშვა და ბოლშევიკური ახალგაზრდობა, რომელიც უმცირესობას წარმოადგენდა ჩამოშორდა ამ ორგანიზაციას“.

გაიოზ დევდარიანის, საქართველოს კომკავშირის ძველი გვარდიის წარმომადგენლის, თანახმად „...განხეთქილებას ვერ გადაურჩა „ახალგაზრდა მარქსისტების“ ხაშურის ორგანიზაციაც. ხაშური- საქართველოს ერთი უდიდესი მუშათა ცენტრთაგანია. ადვილი გასაგებია, რომ „სპარტაკის“ ცკ ყურადღება მიაქცია ამ რაიონს და (1919 წლის) მაისის დამდეგს მიავლინა იქ ერთი თავისი წევრთაგანი ამხანაგი ამასი (ამირბეგოვი –თ.ლ). ამ უკანასკნელს ყველაფერი მომზადებული დახვდა, საჭირო იყო მხოლოდ ერთი მოქნევა და მანქანაც ამუშავდებოდა. ფსიქოლოგიურად ყველაფერი მომზადებული იყო: ჯერ კიდევ შუა 1918 წლიდან ახალგაზრდა მუშების ჯგუფმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი „ახალგაზრდა მარქსისტებთან“

ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა თავად გ. დევდარიანმა, რომელიც იმ ხანებში ხაშურის დეპოში მუშაობდა ხარატად და 1918 წლის აპრილიდან „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტის მდივნად იყო დანიშნული. იგი იგონებს: „ახალგაზრდა მარქსისტების“ კომიტეტის თავმჯდომარემ ვარლამ მიქაძემ, ტფილისში გამგზავრებისას მითხრა ქუჩაზე: „აი, მე ვესახლები თბილისში, ერთად-ერთ იმედს შენზე ვამყარებ“ მე, რაღა თქმა უნდა, „გავამართლე“ მისი იმედები... მივიღე აქტიური მონაწილეობა „სპარტაკის“ დაარსების საქმეში“

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

არქეოლოგიური აღმოჩენა სოფელ ხცისში

(დასასრული)

მაია პატარიძესთან. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში;

8. მძივი (35 ერთეული სხვადასხვა ზომის და ფორმის მარცვალი), პასტის. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასა და სამარხის ორმოს კედელს შორის. მძივის მარცვლები გაწმენდილი და ძაფზე აბმულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რესტავრატორ დარეჯან ტაბუცაძის მიერ. დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში.

რაც შეეხება მიცვალებულის ჩონჩხს, დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. ჩონჩხის კვლევა ჩატარდა თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში, ანთროპოლოგ ლიანა ბითაძესთან.

როგორც ქალბატონი ლიანა ბითაძე აღნიშნავს, ჩონჩხის ძვლები სხვადასხვა დაცულობის აღმოჩნდა, თუმცა სქესის და ასაკის ძირითადი მადიფერენცირებელი ნიშნები შენარჩუნებულია.

სქესი განსაზღვრულია თავის ქალას შემდეგი ნიშნის: თვალბუდეების ფორმა კვადრატული, კეფის რელიეფი მკაფიოდ გამოხატული, დვრილისებრი მორჩი დიდი ზომის, ქვედა ყბის ტოტები ვერტიკალურად აღმართული, გარეთ განზიდული და ხორკლიანი; შუბლი ზომიერად დაქანებული, შუბლის ბორცვები არ არის გამოხატული. ამ ნიშანთა ერთობლიობით, სქესი განსაზღვრულია როგორც მამრობითი. სიფიზის კუთხე, რომელიც უტყუარს ხდის სქესის განსაზღვრას, დაზიანებულია. საჯდომი ძვლის დიდი ამონაჭდევის ფორმა საშუალო კატეგორიით ფასდება, ხოლო მამრობითი სქესისათვის დამახასიათებელია მცირე და ძალიან მცირე კატეგორიები. ამავე დროს ბარძაყის ძვლის თავის სიგანე (48 მმ), ტაბუხის ბუდის სიგანე (55 მმ) და ლავიწის ძვლის არასრული სიგრძის მიუხედავათ (145 მმ) მამრობით სქესზე მიუთითებს.

ასაკი: ზოგადი დახასიათებით, ჩონჩხი ზრდასრულ ინდივიდს ეკუთვნის,რადგან ყველა გრძივი ძვლის დიაფიზი შეზრდილია ეპიფიზთან,რომელთა გაძვალება საშუალოდ, მამაკაცებში 20-25, ხოლო ქალებში (18-22) ასაკში სრულდება. ასაკი დადგენილია კომპლექსურად და გათვალისწინებულია:

ა. თავის ქალას ნაკერების შეზრდა. ნაკერების შეზრდა დაწყებულია გვირგვინოვან ნაკერში და ასაკი 20-30 წელია.

ბ. თეძო-გავის სასახსრე ზედაპირის რელიეფი. რელიეფის სტრუქტურის მიხედვით 30-34 წელი განისაზღვრა.

კბილების ცვეთის ხარისხი. სხვადასხვა ტიპის კბილების ცვეთის ხარისხი განსხვავებულია, საჭრელი 18-20; ეშვი- 16-18; პირველი პრემოლარი 25-30; მეორე პრემოლარი 40-50; მოლარები 40-50 წლის ასაკს აჩვენებენ. რადგან კბილების ცვეთა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული საკვების ტიპთან, გამოთვლილია საშუალო ასაკი და 30-35 წლებით შეფასდა, რაც თანხვედრაშია თეძო-გავის სასახსრე ზედაპირის რელიეფით განსაზღვრულ ასაკთან.

ამდენათ, შესწავლილია 30-35 წლის მამაკაცი.

პათოლოგიები:

სიცოცხლეში კბილების დაკარგვა აღინიშნება მხოლოდ ზედა ყბაზე, მარცხენა მხარეს აკლია მოლარები 1 და 3 ; მარჯვენა - პრემოლარი 1 და მოლარები 2, 3

კარიესი დაფიქსირებულია ქვედა ყბაზე, მარცხენა მეორე მოლარზე - 2

პარადონტოზის ნიშნები აღინიშნება, განსაკუთრებით ზედა ყბაზე. დარღვეულია კბილბუდეების რკალი, კბილების ფესვები გაშიშვლებულია და კბილბუდიდან ზემოთ არის ამოწეული, სასა დაცხრილურია, ზედა ყბის მარჯვენა შიდა საჭრელი კბილის ემალის ფერი შეცვლილია.

აღინიშნება კბილების სპეციფიკური ცვეთა, შიგნიდან გარეთ.

სიმსივნე: ზედა ყბის შიდა ზედაპირზე აღინიშნება სიმსივნური წანაზარდი, ხოლო ლავიწის ძვალზე ოსტეოსარკომა.

სხეულის სიმაღლე

სხეულის სიმაღლე განსაზღვრული იყო ოთხი: ბარძაყის (179,44), მხრის (177,81), სხივის (175, 31) იდაყვის (173,48) ძვლების მიხედვით,ხოლო დიდი წვივის ორივე(მარცხენა და მარჯვენა) ძვალის დისტალური ეპიფიზების დაზიანების გამო არ განსაზღვრულა. სხეულის სიმაღლე გამოთვლილია ტროტერ და გლეზერის ფორმულების მიხედვით. განსაზღვრული სხეულის სიმაღლე განსხვავებულია, საშუალოდ კი 176,51 სმ უდრის. აღსანიშნავია, რომ ყველა ძვალის განაზომის შედეგად მიღებული სხეულის სიმაღლე რ. მარტინის სიმაღლის სიდიდის ერთ კატეგორიაში - დიდი (170,0- 179,9) თავსდება.

დღესდღეობით, მიმდინარეობს მიცვალებულის ჩონჩხის მომზადება საექსპოზიციოდ, რასაც უსათუოდ განვახორციელებთ სამარხეული მასალის საბოლოო შესწავლისა და რესტავრაციის პროცესის დასრულების შემდეგ. ვფიქრობთ, მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძალიან საინტერესო იქნება როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ასევე მთელი ქვეყნის მცხოვრებლებისთვის და მეცნიერი-მკვლევარებისთვის.

ბოლოს, განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ბატონი ბიძინა მურვანიძე(არქეოლოგი, ხაშურის არქეოლოგიური კვლევების კურატორი, უხელმძღვანელა სამარხის გადარჩენით სამუშაოებს)ქალბატონი თამარ სახვაძე(არქიტექტორი)განახორციელა სამარხეული ინვენტარის გრაფიკული ჩანახატების შედგენა ადგილზე, სამარხის აღმოჩენის პროცესში), ბატონი ზურა დაბრუნდაშვილი(უშუალოდ მონაწილეობდა სამარხეული მასალის აღმოჩენაში),ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თითოეული ადგილზე მყოფი თანამშრომელი და სოფ. ხცისის მკვიდრნი,რომელთა ინტერესი და აღმოჩენით გამოწვეული სიხარული ძალიან დიდხანს გაგვყვება სამარხის გადარჩენით სამუშაოებში მონაწილე თითოეულ ადამიანს.

აქ თავს შევიკავებთ სამარხეული ინვენტარის მეცნიერული კვლევისგან, რადგან ველით სამეცნიერო პუბლიკაციებს ხცისის სამარხთან დაკავშირებით უშუალოდ მეცნიერი მკვლევარებისგან. რაც შეეხება მის პირველ წარდგენას ფართო საზოგადოების წინაშე, ბატონი ბიძინა მურვანიძის პრეზენტაცია: „ხცისის სამარხი“ უკვე მოსმენილი იქნა ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მიერ ორგანიზებულ ონლაინ-კონფერენციაზე 2021 წლის დეკემბერში.

ვიმედოვნებთ, შემთხვევითი აღმოჩენები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვლავაც იჩენს თავს, რაც ჩვენი რეგიონის და ზოგადად, ჩვენი სამშობლოს ისტორიის ახალ მატიანეებს გადაფურცლავს.

მზია ლობჟანიძე,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

- ჭადრაკი -

წარმატება რეგიონულ ტურნირში

ახლახანს, გორში, გაიმართა რეგიონული ტურნირი ჭადრაკში სხვადასხვა ასაკის მოზარდებს შორის, რომელშიც გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის სასპორტო სკოლების პატარა მოჭადრაკეები იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენი პატარა მოჭადრაკეები, რომლებსაც შესანიშნავი სპეციალისტი ალექსანდრე ჭადაშვილი აოსტატებს, ღირსეულად გამოვიდნენ ტურნირზე და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს. მარიამ მჭედლიშვილი (10 წლიანებში) მცირედით ჩამორჩა გამარჯვებულს და მეორე ადგილზე გავიდა. 8 წლიანებში ანდრია კახიშვილმა იყოჩაღა და ასევე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. აღსანიშნავია, 6 წლის საბა ტაბატაძის გამოსვლა, რომელმაც 10 წლიანებში იასპარეზა და საპატიო მე-4 ადგილი დაიკავა. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ ამ მოჭადრაკეებს კარგი მომავალი აქვთ და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ შემდგომ წლებში მათი სახელი არაერთხელ გაჟღერდება.

ფოტოზე: ა. ჭადაშვილი თავის შეგირდებთან ერთად.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.